

572
1977

ՀԱՅԿԵՆԻ
ՆՈՒՅՈՒՄՆԵՐ



1977 ՈՅԵՆՆՈ ՈՅ

ՀԱՅԿԵՆԻ
ՆՈՒՅՈՒՄՆԵՐ

იხით რა გაუსარდაო?

სირა ჰიბიაშვილი

- ირემს რა გაუსარდაო?
- ნეკერი გამიმწვანდა!
- ფუტკარს რა გაუსარდაო?
- შინდორი ამიუვაგდა!
- შინდორს რა გაუსარდაო?
- იჭექა, გახვდარდა!
- ღვღას რა გაუსარდაო?
- ტოგონა გაუმსარდა!



სამკაულები



ნინო გუგარაშვილი

წვიმა. ნელა, გუნებირად ეუუუნებდა მთელ ღამეს. დილით კი ყველაფერი სველი იყო; ხეები მთლად ჩამოლიპულიყვნენ, წვიმისაგან დამძიმებული ფოთლები ძირს დაეხარათ. ტყის პირას მღვარი ნორჩი კედარიც სულ სხვანაირი იყო, წვიმას მოერთო. ყველა წიწვის წვეროზე თითო კამკამა წვეთი ყვდგა და ეს წიწვეები ბროლის ქინძისთავეს მიაგვდნენ.

მალე ღორუბლებიდან მზემ გამოანათა. ოქროსფერი სხივები ისრებივით გაუყარა წიწვებზე დასკუპებულ წვიმის წვეთებს და ათასფერად ააბღღერიალა.

კედართან ვიღაცა კაცი გამოჩნდა. მწვანე საწვიმარი ჰქონდა მხრებზე მოსხმული. შორიახლო იდგა და თავადერილი უყურებდა კედარს.

უცბად კურღღღმა ჩამოიარა. კაცი რომ დაინახა, შეეშინდა და ბუჩქს ამოეფარა. ზის კურღღღი ბუჩქში და უკვირს, უკვირს ძალიან, „ნეტავ, რად მისჩერებია ეს კაცი კედარს, რა ნახა ისეთიო“.

არ გასულა დიდი დრო, ახლა მელიამ ჩამოიარა.

„რად უყურებს ეს კაცი კედარს, ზედ მამალი ხომ არა ზისო“.—გაიფიქრა მელიამ და მოფარებ-მოფარებით დაუწყო თვლიერება კედარს, მაგრამ იქ ვერც მამალი დაინახა, ვერც მისი მსგავსი რამე.

მალე იქვე ხის ტოტიდან ციყვამაც გამოიხედა.

„ნეტავ რას უყურებს ეს კაცი კედარს, რამე საქანატუნებელი ხომ არ მოისხაო,“ ბევრი უყურა კედარს ციყვმა, მაგრამ ვერა დაინახა რა. ბოლოს გადაწყვიტა ზედ ასულიყო და ისე დაეთვლიერებინა კედარი.

ციყვის კედარზე ახტომა და ტყიდან დათუნიას გამობაჯბაჯება ერთი იყო.

კაცი რომ დაინახა, შედგა, ჯერ შეეშინდა, მერე მიხვდა,—კაცი მონადირე არ უნდა ყო-



ნახატები ზაურ ლეისაძისა

13421

საქართველოს მწერთა კავშირი
საქართველოს მწერთა კავშირი
საქართველოს მწერთა კავშირი



ფილიყო, მხარზე თოფი არ გვიდა და არც სხვა იარაღი ჰქონდა.

„ნეტავ რას უყურებს ეს კაცი ამ კედარს, შემთხვევით თაფლის გეგჯა ხომ არ არის ზედაო,“ გაიფიქრა დათუნია.

კაცი კი ღვას და უყურებს კედარს, თან ვფერება:

— ე, როგორ მოკაზმულხარ, ვინ მოგართვა ეგ სამკაულები? წვიმამ? მადლობა წვიმას, მადლობა, ეგრე რომ გაგალამაზა, ნეტავ სულ გგეთი იყოო.

მაგრამ უტბად საიდანღაც ნიაგმა ჩამოიქროლა, კედარის ტოტს ეცა და შეარხია, წკაპ, წკაპ, წკაპ,—წკაპაწკაპით ჩამოცვივდა წვეთები.

კაცი ახლა კედარის ქვეშ იდგა თავდახრილი და ყურს უგდებდა წვეთების ხმას. წვეთები კი თითქოს მღეროდნენ ჩუმად, წყნარად.

კარგა ხანს უსმინა წვეთების წკაპაწკაპს კაცმა და წავიდა, ტყეს შეფურაო:

კაცი წავიდა თუ არა, მელა, დათვი და კურდღელი კედართან მიხროდნენ. ციყვმა კედარის ტოტიდან ჩამოიხედა და დაიწყეს სჯა-ბაასი:

— ვინ იყო ის კაცი, რად უყურებდა კედარს, ზედ არაფერი ჩანს, იმან რა დაინახა ისეთი, რომ თვალს ვეღარ აშორებდა?—გკითხებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ პასუხის გამცემი არავეინ იყო. ბოლოს, როგორც იქნა, მშიშარა კურდღელმა ამოიღო ხმა:

— მეზობლებო, უამბოდ არ იყო მოსული ის კაცი, უსათუოდ მონადირეა, გვატყუებდა, ვითომ კედარს უყურებდა, სინამდვილეში კი ჩვენ შეგვათვალღერა. კარგად გაიგო ამ ტყის ასავალ-დასავალი, ვინ იცის, როდის მოვა თოფ-იარაღასმული და საღ დაგვიგებს მახეს. უნდა გავფრთხილდეთ!

— უნდა გავფრთხილდეთ, უნდა გავფრთხილდეთ!—კვერი დაუტრეს კურდღელს მელამ და დათვმა.

რა იცოდნენ, რომ ის კაცი ერთი კეთილი მეზობარე იყო. ახლა მიდიოდა გახარებული, თითქოს რალაცა იპოვო. თვალწინ ეღდა „ბროლის ქინძისთავები“ და ყურღიდან არ შორღებოდა კედარის ტოტებიდან ჩამოცვენილი წვეთების სიმღერა. მიდიოდა, მიიჩქაროდა კაცი ტყე-ტყე, ბილიკ-ბილიკ, რომ პატარა ბავშვებისათვის წვიმისაგან მორთულ-მოკაზმულ კედარზე ზღაპარი დაეწერა.

ყვე ჩივი

ზუზანა მგელაძე

პატარა ჩივი ტყვე არი
(მისი სამშობლო ტყე არი,
აივანზე დგას გაღია,
ჩიტუნა ფიქრმა დაღია.

სიცხე აწუსებს თაკარა—
დაუდგეს წვალი ანკარა.
მიართვეს ზურის მარცვალი,
დანცქერის გულის ფანცქალით.

არც ზური უნდა, არც წვალი,
დედას ეძახის საწვალი.
ვისაც ეკუთვნის გაღია,
ერთი პატარა ქალია.

ცინფერთვალეობა გოგონა,
მე გუელქვა ვინმე შეგონა.
შენის დიმილი ბაჟმურნი,
გაუღო კარი დასმული.

ჩიტმა დაიწყო გალობა,
შეუქო კარგი ქალობა.
გადაუფრინა ჩინარს და
ლაჟვარდში გაუჩინარდა.



კაგა მამო

კარლო კოზაროძე

შარშან სარდაფში ძველი ფიცრები გვეყა-
რა. იმ ფიცრებში ვილაცის კატა შემძვრა-
ლიყო და ექვსი კნუტი დაეგდო. კნუტების
კრუტუნ-კნავილი კი გვესმოდა, მაგრამ ვერც
თვალი მივწვდინეთ, ვერც ხელი, ვიდრე კა-
ტამ თვითონ არ გამოლოლა გარეთ. ისეთი
გამხდრები იყვნენ, ისეთი მისუსტებულები,
ძლივს დარაცრაცებდნენ. ბებიაშ თქვა, ეს
იმას ნიშნავს, შეიღების რჩენას ვერ აუღის,



- მაშო შინ არის?
- დიახ, მობრძანდი!
- რას აკეთებს?
- ჭურჭელი დარეცხა და მოსვენებაშია,—
კუპკუპებს ბებია.
- ბოდიში კი მომიხსენებია, მაგრამ ერთი
წუთით გამოვიდეს გარეთ.
- რას ამბობ? ცოტა თვალს მოატყუებს
და მერე კიდევ საბანი აქვს დასალიანდაგე-
ბელი.
- ჩემგან არ ეწყინება,—იცინის გოგია
პაპაც.
- ბებია შემობრუნდა ოთახში, დაიხარა, ცო-



გვეხვეწება, თქვენ მიმიხედეთო. ჩვენც ავდე-
ქით და მივხედეთ: არც რძეს ვაკლებდით,
არც პურსა და აკი სულ მალე მოვაფერი-
ანეთ. როცა მოფერიანდნენ, ზოგი ნათესავემ
წაიყვანა, ზოგი—მეზობელმა და, ბევრი რომ
არ გაუაგრძელო, კინაღამ მაშოც წაგვართ-
ვეს...

იმ დღით ნიავის შრიალმა გამოგვადიჭა
და ამ შრიალს ჩენი მეზობლის, გოგია პაპას
ხმაც მოჰყვა:

- ოჯახი შეიღებო!
- ამბავი!—გააგონა ნუცა ბებიაშ და ღია
კარისკენ წავიდა.

ცხი ტახტქვეშ შეჰყო და მაშოს დაუცა-
ხანა:

- ამდროულა კაცი რომ გეძახის, მე მეს-
მის და შენ არა?!
- მაშომ ურულ, ძლივს გასაგონად დაიქანავლა
და გარეთ გაიძურწა.
- მე და ქეთინო ხითხითით წამოვხტით და
გარეთ გავცვივდით. ვხედავთ: გოგია პაპას
კუდი თუქირავს მკედარი თაგვი, დაცუცქე-
ბული და მაშოს უჩვენებს:
- აი, რა მოგიტანე!
- მაშომ უკანა ფეხებზე აიწია და მარჯვენა
თათი თავს გაჰკრა,—წართმევა მოუნდომა.



— ჯერ დაიკნაულე, — ეღიმება გოგია პაპას. მაშო ისე ალღებს პირს, თითქოს დაკნაულე-ბა კი უნდა, მაგრამ ვერ დაუკნაულიაო. თან ისევ ეტანება თავეს.

— ხმაილა!

მაშო ბრაზდება და მთელი ხმით კნავის.

— ყოჩაღ! — ამბობს გოგია პაპა და თავეს საჩხეს გარეთ ისვრის, — შხამად შეგერგოს, კი უფარვისი შენა ხარ! — და სკამზე ჯდება. მე და ქეთინო სიცილით ვიგულებით. ბებიაც იცინის, გოგია პაპაც.

ჭაიპარად ჩაეცივით ტანსაცმელი და ჩვენც საჩხეში გავედით.

— რა ვშველებოდა უჩემოდ? — წუხს გოგია პაპა და მუხლებზე ხელს ირტყამს, — მე რომ გულწვილი კაცი არ ვიყო, ისე დაბერდებოდა მაშო, ისე მოღვედა თავის წუთისოფელს, თავის გემოს ვერ ნახავდა. მაშა!..

მაშო კი ამ დროს მკვდარ თავეს აბურთავებს: შეისვრის მალა, შაერშივე დაიჭერს, მერე მოიქნევს, შორს გადააგდებს, მიწას გაეკვრება და ისე ეპარება, ვითომ ცოცხალია და გაქცევას ამირებსო.

— ამისთანა ზარმაცი კატა, — პაპიროსს

უკიდებს გოგია პაპა, — ჰო, ამისთანა ზარმაცი კატა, არც აფრიკაში იქნება, არც სამხრეთ ამერიკაში და, თუ დამიჯერებთ, არც გურჯაანში! ნამდვილად თანამედროვე კატაა!.. კაცო რომ თქვას, კატა ვალდებულებულია თავგი დაიჭიროს. მე არ მოგიკვდეთ, სხვა საქმე არაფერი აქვს: ვენახი მაგას არ აღარღებს, შეშა და წისკვილი; ხანდახან ყვეფს თუ მომპარავს, ან — ხორცს, კატა და ეპატება. მაგრამ, აი, თავგიც თუ მე დავიჭიროე, მაშინ კატა რაღა ოხრად მინდა? მე შენ გეტყვი, წამოვწვები და წიგნს წამიკითხავს; თუნდაც, აი, „თავგთა მფის სიზმარს“... მჩხავან იყოს, ვიფიქრებდი, მჩხავან კატის დაქერილი თავგი სად გაგონილა-მეთქი. რომ არცა ჩხავის? ახლა ჩემს ნათესავთან, დათიასთან ვარ ჩასასვლელი, იქნებ ცხენ-გუთანი მათხოვოს და ზვალ ვენახი მოეხნა. ნეტა ამბის წაღებ-წამოღება მინც იცოდე! რა გვეშველებოდა მე და ნუკა ბებიას

მაშომ თავგი შეჭამა და ისევ ოთახში შევიდა. გოგია პაპამ თვალი გააყოლა:

— შეძერება ტახტქვეშ და დაიძინებს! მაგას სულ არ ენადლეება ჩემი მოსახნავი ვე-



ნახი და თავვეებით სავსე ჩემი მარანი!—თავგური აღარსად იშოვება. შევედი მაღაზიაში და კაკანათები ვიყიდე. შეიდი კაკანათით ვიჭერ თავვესა და ლამის ცოლმა მომკლას: თავვეზე რა მოგახსენოთ და, ნიგოზი კი ნამდვილად გამოვლიე, ზოგი ისეთი თავგიცა მყავს, ისეთი გამოცდილი და მარჯვენე, ნუ იტყვიოთ! გახუხულ ნიგოზს ისე შემოარიღებს ხოლმე კაკანათის სატყუარას, აი, იმ კაკანათს ბეწვის სიგანეზეც არ ატოკებს. მაშა!

— აქამდე როგორ ვერ მოიფიქრე!—ეუბნება ნუცა ბებია,—მარნის ფანჯრიდან ერთი მინა ამოიღე, წაიყვანე მაშო, გადააძვრინე და გადმოაძვრინე, გადააძვრინე და გადმოაძვრინე—გზა ასწავლე და, მერე ნახავ, რა ღლეში ჩაყრის იმ შენს გამოცდილ, მარჯვენე თავვეებს..

დავიჭირეთ მაშო, წაიყვანეთ, ამოვიღეთ მინა, გადავაძვრინეთ და გადმოვაძვრინეთ მარანში, გადავაძვრინეთ და გადმოვაძვრინეთ—გზა ვასწავლეთ და დაველოდეთ, რა მოხდებოდა.

ორი დღის შემდეგ გოგია პაპა გაბრაზებული მოვიდა ჩვენსა, დოინჯი შემოიყარა და ბოლთას არტყამს საჩხეში.

— სად არის მაშო! ვიდრე მილიცია გამომიძახებია და ციხეში მიკრავს თავი, გამოაჩინეთ!

— წელან აქ ბრძანდებოდა,—ეუბნება ნუცა ბებია და მერე კატას ეძახის,—მა-შო! ეძახა, ბევრი ეძახა, მაგრამ ვერაფრით ვერ ვაგონა.

— მოგპარა რამე?—ეკითხება ქეთინო. გოგია პაპამ ხელი ჩაიქნია, თავი გვერდზე

მიაბრუნა და დამწუხრებულმა თქვა: — თქვენისთანა კარგი მეზობელი არაა, ნა მყავს, მაგრამ გაბრაზებული ვარ და ნუ გეწყინებათ: თქვენს ბინაში ჩხრეკა უნდა ჩავატარო, სამი კაკანათი დავკარგე!

— უი, რას ამბობ?—ეწყინა ბებიას.

— ეგრე!— თქვა გოგია პაპამ, შევიდა ოთახში, დაიკუნა და ბებიას ტახტქვეშ შეიხედა, მერე ხელიც შეყო,—ერთი, ორი და, ესეც სამი,—სამი კაკანათი გამოიღო!

— ვერ უყურებ?—გაეცინა ბებიას.

— ერთი ჩემს გულშიაც ჩაიხედე, მეც მეცივნება?—თქვა გოგია პაპამ და თვითონაც გაეცინა.

— რატომ წამოიღო?—ეკითხება ქეთინო,—კაკანათები რად უნდოდა?

— როგორ თუ რად უნდოდა!—კაკანათები ერთმანეთზე დაწყო გოგია პაპამ,—თქვენი ზარმაცა მაშო შემოვა ჩემს მარანში, ჩამოუვლის კაკანათებს და რომელშიც თავგია გაბმული, იმას დაეფლებს პირსა და მოაქვს. თავგის გამოხსნა არ იცის და იმიტომ. აღარა ენახო ჩემს მარანში, თორემ ეზოს საზიარო კარს მივლურსმავ და ვგ იქნება! ზარმაცი ადამიანიც შეგაერება და კატას ავიტანე.. დიახ.. მაშა!—გამოვიდა ოთახიდან და აჩქარებული წავიდა. მერე უცებ გაჩერდა და მოტრიალდა:—კინაღამ დამევიწყდა, ამ სალამოს შინა ვენახის ბალი უნდა დავკრიფოთ და ყველას გეპატყვებით. თუ მაშოც წამოვა, წამოვიდეს, მინც მეზობლები ვართ და ამის გულისთვის ხომ არ დავემღურებით ერთმანეთს..

მაშო კი წალმის კონებზე იჯდა და აუჩქარებლად იბანდა პირს.



ნახატები ვახტანგ გულისაშვილისა

ციყვი და მგელი

კალე ზოზოსიძე

მგელს სუნი ეცა ციყვის...

აგერ, ხეზეა, უმზერს!

— მანდ რად ხარ, ნუ ხარ, პრიყვი,
ჩამო, მიგიკრა გულზე!..

— ძირს ჩამოსვლას რომ მირჩევე,
ხარ თეთრი კბილის მგენი;
ტკბილი სიტყვებით მიჩვევე,
გაწყდეს გამგენი შენი!..

სურათი

სამამო სურნელს აფრქვევს
ხის ძირას ნაზი ია,
ბულბულიც ბუჩქზე აქვე
იძანის—ტია-ტიას...

წყაროს რაკრაკი ისმის,
შეჯიბრება ჩანჭტერს...
სულ მალლა იწვევს ნისლი,
არ სურს დაბლობში დარჩეს...





«ԳՐԻՆԻՆ» — ԵՆԻՆ ԵՎ ՄԱՐԿՐԵՆԿՈՎԱ, 9 Գ.



«ԵՆԻ ԵՎ ԵՎԻՆ» — ԵՆԻՆ ԵՎ ՄԱՐԿՐԵՆԿՈՎԱ, 10 Գ.



«ՆՅԻՆ ԵՎ ԵՎԻՆ» — ԵՆԻՆ ԵՎ ՄԱՐԿՐԵՆԿՈՎԱ, 11 Գ.

«ՆՅԻՆ ԵՎ ԵՎԻՆ» — ԵՆԻՆ ԵՎ ՄԱՐԿՐԵՆԿՈՎԱ, 10 Գ.



«ՆՅԻՆ ԵՎ ԵՎԻՆ» — ԵՆԻՆ ԵՎ ՄԱՐԿՐԵՆԿՈՎԱ, 11 Գ.



«ՆՅԻՆ ԵՎ ԵՎԻՆ» — ԵՆԻՆ ԵՎ ՄԱՐԿՐԵՆԿՈՎԱ, 11 Գ.



«ՆՅԻՆ ԵՎ ԵՎԻՆ» — ԵՆԻՆ ԵՎ ՄԱՐԿՐԵՆԿՈՎԱ, 11 Գ.

გიორგი კაკაუაშვილი



შუალამისას გაიღვიძეს მამლებმა.

- ვიყვილოთ?
- ღროა.
- აბა, დაიწყე!
- ყიულიყოო, ყიიი!
- ყიულიყოოო!

მათ ყიულს სხვა მამლებიც გამოეხმაურნენ და ნამდვილი განგაში შეიქმნა მთელ სოფელში.

— ხომ შევაშინეთ ღამე? — იკითხა ყიულიყო კიმ, — გუშინ დღეზე ომახიანად ახლა ვიყვილეთ.

— შევაშინეთ და შეტოკ მოუვიდა. ცოტა ხნის შემდეგ გავიღვიძეთ, ერთი კიდევ დავცხოთ ღამიანად და ფერსაკ ვაცვლევინებთ, — უპასუხა ყიულიყოამ, — მფორედ უკვე მე დაიწყო და შენ ბანი მომეცი.

ორი საათის შემდეგ ისევ გაიღვიძეს და:

- ყიულიყოოო!
 - ყიულიყოო, ყიიი!..
- ათჯერ იყვილეს.

ისევ ჩათვლინეს მამლებმა, მაგრამ როგორც კი რიგრაგმა მოატანა, ფრთა ფრთას შემოკურეს და უფრო მჭექაბედ მორთეს ყიილი.

— გათენდა, გაიღვიძეთ, რა გაძინებთ, თქვე კაი ხალხო! — ყიოდნენ მამლები და სოფელშიც მართლა დაიწყო ნელ-ნელა გაღვიძება.

ჯერ პაპები და ბებიები წამოიშალნენ, შემდეგ დედები და მამები აღნენ, შეილინება კი მხოლოდ გვერდი იცვალეს და სხვა მხარეზე გადაბრუნდნენ.

მამლები ქანდარიდან გადმოხტნენ და სანამ ბებია საკენეს დაუყრიდა, ეზოს შემოაუარეს ფრთების ბარტყუნით: აბა, ერთი გაგზომოთ, წუხელ ხომ არავინ მოგვბარა ეზოო. მერე კი, როცა უკვე წაისაუზმეს, ცერცერაობა და ქექვა დაიწეს. ეძებდნენ ჭილუფს და რუკრუკით სთავაზობდნენ დედლებს.

მაღე ეზოში ბაეშვებიც გამოეფინენ, მაგრამ ვატი არსად ჩანდა.

— რაშია საქმე? — მაღლა აწეული ფეხი პაერში გაუშეშდა ყიულიყოს.

არჩილმა გაიღვიძა, ზვიადმა გაიღვიძა, გოჩამ გაიღვიძა და ვატი სადღაა აქამდე? გოგობზე არას ვამბობ, მაგრამ ვატი რატომ არ ჩანს?

— აბა, ენახოთ, რას აკეთებს?!— ჭეჭვა შიატოვა ყიულიყო ყიმ და ბებიახაგან დაკამყამებულ კობზე სკუსკუსებით დაიწყო ახტომა. მას არც ყიულიყო ჩამორჩენია და ცოტა ხნის შემდეგ ოროფენი მოაჯირზე იდგნენ. იდგნენ და ჯერჯერით წაიგრძელდნენ ხოლმე კისერს ვატის საწოლისაკენ; ნუთუ მართლა ჯერ ისევ სძინავს თუ თვალი გვატყუებსო.

— სძინავს.
— ნამდვილად სძინავს.
— რა მოუხდება?
— ჩემზე უკეთესად შენ იცი.
— ყიულიყოო!
— ყიულიყო, ყიიიი!
— უხ, თქვე დასაწყევტებო, თქვენა!— დაფეთდა ვატი და ხელების ფართხუნით წამოიწია, ეგების დაფორთხოო.

მამლები არ შემინდნენ, ცოტათი გაიბზინეს მოაჯირზე. მეორე სვეტთან გაჩერდნენ, კისერი წაიგრძელეს და:

— ყიულიყოო!
— ყიულიყო, ყიიი!.. ადექი, ადექი, დროა! წიწილები შენზე პატარები არიან. მაგრამ ჩვენთან ერთად იღვიძებენ. როგორ შეიძლება ასეთ კარგ ბიჭს ადგომა ეზარებოდეს?!
ვატის გამოფეხიზლა, ძილის წამალიც რომ დაელოა, მაინც აღარ დაეძინებოდა.

მეორე ღამეს ადგილი შეიცვალა და სხვაგან დაიძინა. იფიქრა, აჰ მაინც მომასვენებენო, მაგრამ მამლებმა იქაც მიაგნეს და გააღვიძეს. მას შემდეგ მიეჩვია ვატი მამლებთან ერთად ვაღვიძებას და აღარც სკოლაში აგვიანდება. მამლები კი მთელს დღეს ასე რუკრუკებენ ერთმანეთში:

— ეგ ისეთი ბიჭი დადგება, ეგ ისეთი ვაჟაკი დადგება, ბადალი არ ეყოლება მთელ ჭეჭეანაზე.



შვილი და-ძმა

კ. გოგიაშვილი

შვიდი და-ძმანი ცხოვრობენ,
 ძღვერიან მთელი დღე,
 უფროს ძამიკოს დო—ჭკვიან,
 მომდევნო ძმან კი—რე!
 მის ეძინან შესამეც,
 მეოთხე განლაკო—ფა,
 სულგანაბული უსმენენ
 ტყე, მინდორი თუ ტბა.
 სოლ-სა უწოდებენ უფროს დას,
 ორს კი—ლია-ს და სი-ს,
 ეს ნაბოლარად ნოტებზე
 ჰიანინოსთან ზის.
 ნიბი იმათ სიმღერას
 მთებსა და ტყე-ველს ჰმევენს,
 აღტაცებული ბუღბუღლიც
 უფრო ხალიხით სტყვენს!



საქართველოს
 ენობრივი
 მემკვიდრეობის
 ცენტრი



ნახატი სოფიო კინწურაშვილისა

მეჩხვარი

ძიშვარდ ისაკაძე

— დედას უფიცავ, ვერც თანდო,
 ვერც მე,
 ვერც შენ,
 ვერც ლალი,
 ბუღეს ვერ გამოკმერწყავთ,
 ისე, როგორც მერცხალი.
 — მართალი ხარ,—მეგობარს
 დავთანსმა თანდილა,—
 მენებაში მერცხალი
 ოსტატია ნამდვილად.



ოქტომბრის ნობათი

გურამ გახტაძე

ახუთი ლამაზი მთის სოფელია. ზაფხულობით ყველაფერი მწვანეში ჩაფლული. ცვარი გაშრება თუ არა, მთის ფერდობებზე, ვენახისა და გზის პირას ნამგლებიანი უმაწვილები გამოჩნდებიან. ბიჭები მარჯვედ თიბავენ ბალახს, გოგონები კი ერთად აქუჩებენ. პიონერების გვერდით ოქტომბრელებიც ტრიალებენ, უოველდღე ორ-სამ პატარა ზვინს წამოსდგამენ ხოლმე.

— ესეც ოქტომბრელების ნობათი!—ღიმილით ამბობენ კოლმეურნეები. მათ ძალზე ახარებთ, რომ ასეთი შრომისმოყვარე ბავშვები ჰყავთ.

ჩხოროწყუს რაიონში ბევრია ისეთი სოფელი, სადაც ახუთელთა მსგავსად—პიონერები და ოქტომბრელები ფერმებისათვის ბალახს ამზადებენ. კარგი იქნება, თუ შენი და შენი ამხანაგებიც მიიღებთ მონაწილეობას ამ ძალზე საჭირო საქმეში.

მეცხოველეობის აღმავლობა ხუთწლედის დიდ ამოცანად არის დასახული. საქართველო უნდა გადაიქცეს დიდად განვითარებული მეცხოველეობის რესპუბლიკად!—ასე გადაწყვიტეს კომუნისტებმა—შენმა მოზლებმა, უფროსმა და-ძმებმა.

ისინი აებენ ახალ დიდ ფერმებს, სადაც მანქანები პირუტყვის მოვლას აადვილებენ. იზრდება საქონლის სულადობა! ამიტომ, მთავარ ამოცანას წარმოადგენს მეტი საკვების—სილოსის, თივის, სენაფის დამზადება.

თუ ყველა ერთად, მეგობრულად იშრომებთ მთელ ზაფხულში, მარტო ერთ დღეს, ვინ იცის, რამდენს მოთიბავთ. მაშინ უფროსები გეტყვიან: ყოჩაღ, თქვენ ხუთწლედის დიდ საქმეში დაგვემარეთ!





კყაზი

მერი ბოლქვაძე

იყო ერთი ტყე, როგორც საერთოდ ყველა ტყე, ესეც ზამთარ-ზაფხულ, დარშიც-ავდარშიც—უღამაზესი და უმშვენიერესი. ბევრი ფრინველი, მწვერი და ცხოველი ცხოვრობდა აქ. ცხოვრობდნენ თავისთვის; ხან უჭირდათ, ხან—უღებინდათ, სატირაღს—ტირაღნენ, გასახარედი—უხაროდათ. ტყეში ბევრი ვერაგი და გაიძვერა იყო, იყო კეთილი და ადამიცი, მშიშარა და გულადიცი, უჭკულცა და ჭკვიანიცი; ზოგი სულ დაღვრემილი, ზოგი—მხიარული. განსაკუთრებით ჩიტები მხიარულობდნენ; მთელი დღე ჭიკჭიკითა და გალობით იკლებდნენ ტყეს, თან თავიანთ საქმესაც არ ცლებოდნენ, ბარტყებს ზრდიდნენ, ტოტიდან—ტოტზე ხტოდნენ, ხიდან—ხეზე, ბუჩქიდან—ბუჩქზე ფრენა-ფრენით გადადიოდნენ და საკვებს დაეძებდნენ... ასე გადიოდა დრო...

ერთ დღეს კი საქმე სხვანაირად დატრიალდა, ერთი ყვავი ატყდა, გინდათ თუ არა, ეს ტყე ჩემიაო:

— ჰეი, ცეტებო, კარგად გაიგეთ ყველამ; დღეის შემდეგ ეს ტყე ჩემია! ჰოდა, ტყე რომ ჩემია, ეს იმას ნიშნავს—ყველა ხე ჩემია. არც

ერთი ჩიტი არ დავინახო ხეზე მჯდარი, გაიგეთ? შიშინ კისრისტუხით დაქანებულმა ნაკაღულმა გიუვივით გადაიკისკისა:

— ჰეი, ეს რა წამოაყრანტალა ყვავმა, ეგ მართლა ყვავი, ეგ თვითონ ცეტი!

ჩიტები კი მუქარით წამოფოფოდნენ ყვავს:

— რაო, რაო, სად არ დაჯდეთო?

ყვავმა ახლა თვადები დააბრიალა, იქნებ ამით მაინც შევაშინო ჩიტებოო:

— ახლავე, ახლავე წადით აქედან, თორ-ემ!..

— თორემ, რა?—გააჯავრა ვილაცამ.

ყვავმა მიიხედ-მოიხედა; აბა, ვინ გაბედა ჩემთან ხმის ამოღებაო და მაღალი წადის ხის ძირზე მთელი ტანით აკრული კოდალა დაინახა, გრძელ ნისკარტს თითისტარივით ატრიალებდა და დამაად ფულუროდან მატლებს ძაფის ბლანდებივით ამრობდა. ყვავმა გაბრაზებით ფრთები ააფართოხუნა:

— თორემ რა-ა და, ყველა ყვავს, ძეგას, ქორს, სვავს შეეყრი საომრად და ყველას ერთიანად მზეს დაგობნელებო!

— რაო, ჩვენ ხომ არ გეცოტავებით?—წამოიშაღნენ თავიანთი ადგილებიდან ჩიტები და ყვავს ჯიბრზე ახლას მოუსხდნენ.

— არა, მაინც რად გინდა ამოღება ტყე, ვერ გამოვიტო!—წამოიწყო კოდალამ.



ყვავი საძაგლად აყრანტადლა:

— როგორ თუ რად მინდა: ჩემს შვილებს შვილები ვყოლებათ, იმათ შვილებს—შვილები, იმ შვილებს კიდევ შვილები... ამდენი ვიქნებით და მაშინ ყველა ხე ჩვენ დაგვპირდება!

ბის ფულუროდან ციყვი გამოვარდა ფუმფული კურის ფრიალით:

— ჩვენც ციყვებიც ხომ არ წავიდეთ ტყიდან, ჰა?

— თქვენც!—ბრძანა ყვავმა.

— ჩვენც?—ავად დაიზუზუნეს ფულურებმა.

— თქვენც!—ბრძანა კიდევ ყვავმა,—აიბარგეთ ყველანი!

ყოვალამ გრძელი ნისკარტი ფულუროდან ამოაძრო, რომ დაეღაპარაკნა:

— სხვა ტყეში გადავსახლდეთ? მერე ის ტყეც რომ დაგპირდეს, იქიდანაც ავიბარგოთ?

ყვავს ნირიც არ შეუტყვია, ისე თქვა:

— თუ მერე აქაც ვერ დავეტოვოთ!..

ჩიტებმა სიცილით დაუსტრინეს:

— რა ჰკვიანი ხარ, თუ კარგია, შენ თუ ვერ ეტყვი, შენ მოუსვი აქედან; ჩვენ თვითონ გვპირდება ტყე!

ყვავს მოთმინება დაეცია, ახტა და დახტა:

— რამდენს დაპარაკობთ, აბა, წახვადთ თუ არა, აქედან!—დაიჩხავდა და ერთ ჩიტებით საე-

სე ხეს მივარდა,—ჩემია ეს ხე!

ჩიტებმა ერთმანეთს თვლი უყვეს, მერე ყვავს მიძახეს: „ოყოსო“ და, სხვა ხეზე გადასხდნენ; ყვავი უკან მიჰყვა,—ესეც ჩემია!

— გვეც შენი ოყოსო,—ჩიტები ახლა სხვა ხეზე გააპასხდნენ.

— ესეც!

— ოყოსო, ოყოსო!..—დაფრინავდნენ ჩიტები ხეებიდან ხეებზე, ბურქებიანი—ბურქებზე და დასდევდა უკან ყვავიც.

— რა კარგია, დაქერობანას ვთამაშობთ!—ხითხითებდა ეშმაკისფეხი ჩხიკვი.

მთელი ღლე გაშმაგებული დასდევდა ყვავი, დაილადა, დაიქანცა, დაოსდა, მაგრამ ვერაფერი გააწყვა; ყველა ხე მაინც სადგე ოყოს ჩიტებით და ყველა ხეზე ერთად ხომ ვერ დაუჯდებოდა?!

— დაეტე შენს ბუდეში ჰკვიანად, გირჩევნია, ეგვეც არ დაკარგო!—თავზე ისარივით გადაეგლა მერცხალი და საღლაც დაეგვარდებში ჩაიკარგა.

— ბუდეში?!

ფეთიანივით წამოიქრა ყვავი.

— ჩემი ბუდე მაინც არ დაგკარგო, თორემ მთელ ტყეს ვინ ჩივისო!—მოძებნა თავისი ბუდე, ფრთები გაშალა და მთელი ტანით ზედ დაეფოფა.

საქართველოს
საბავშვო ლიტერატურის
სამეცნიერო ცენტრი



თინიკო

გიორგი მატრაველი


- სად მიდიხარ თინიკო ამ პატარა კინკლით?
- უნდა მოვრწყო ბაღიაში პომიდორის ჩითილი!




გამრჯე ბიჭი

გიორგი შათაქაშური

ბარავს, თოხნის,
 სხლავს და მარგოს,
 დაღლა როდი ეკარება,
 უსაქმოდ რა გააჩერებს,
 სულ უფროსებს ეხმარება,
 ასე მარჯვე, გამრჯე ბიჭი
 აბა, ეის არ ეყვარება?!



მ ა ვ ს ს ა შ ე ხ ი



იმ მანქანით
 ნუნუ ლალიძე

— გავაცეთოთ მანქანა!
 გოგომ უთხრა მზექალას:
 იმ მანქანით ორივე
 შემოვივლით მთელ ქალაქს!

შეავეთ ცარიელი უჯრედები ფრინველების სახელებით ისე, რომ ფერად სვეტში მიიღოთ სიტყვა მზექალაძე.

შეადგინა გალის რაიონის სოფელ ოქუშის სკოლის მოსწავლემ ქეთევან წირღვავამ.

ბაყაყის ნიმღარა

იზარი ხარაძე

აფსტი—დაფსტი,
აფსტი—დაფსტი,
ერთ დიდ ორმოს
გადავასტი...
კაღიების
რახში შემსვდა,
მარტადმარტო
გაფუქლაფუდი...
პერე უანჩა
შეფუფთა,
გრემლნისკარტა,
მუხანათი...
აფსტი—დაფსტი,
აფსტი—დაფსტი,
დიდ გუბეში
სეკუნ და...
ჩაფსტი.

თუ არ ვაჭმევთ

გიორგი წამთელი

თუ არ ვაჭმევთ მურიკოს,
საქმეს იზამს ურიგოს:
მამალს მელას გაატანს,
კრუხ-წიწილას—ტურიკოს!



თუთა


ლილა სპვილია

დელი, დელი, დელია,
ბალი გემრიელია,
მარწყვი გემრიელია,
თუთა გემრიელია...
...შე თუთაზე ხტუნია
ყველა მოთხუნულია.



სეკუნსი

შეადგინა გურჯაანის რაიონის სოფ. შაშიანის სკო-
ლის მოსწავლემ ლია ქართლელიშვილმა.



6 4/92



„მოცი“—ნახატი გოჩა ქვეციასი, 10 წ.

შთავარი რედაქტორი მუსხრან მაგრაზანიანი

ხარედაქციო კოლეგია: ანზორ აბულაშვილი, ელზარ ამგრაძე, კახარი გომეზაშვილი, ლილა შარბა, მამალა მამულაშვილი, ჯიშუა მუჯირი, გიორგი კოთინაშვილი (საზ. რედაქტორი), იორა მამიბაძე (პ/მე. მდივანი) რომარბ ლარიაშვილი, გივი მელაძე

საქ. აღკვ. ცე-ისა და ვ. ა. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის არესხუბილერა ნაპოს ვერხლა. უფლებ ნახატი ელზარ ამგრაძისა. გამომცემის 80-ე წელი.

ტექნიკური მხრი წინათილი

შინაართი რედაქციის გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ტყნის, 14. ტელ. 80. რედაქტორის—93-41-30, 93-98-15, პ/მე მდივნის—93-10-32, 93-98-17; საზ. რედაქტორის—83-98-18; განყოფ.—93-98-19; სამდივნისი—93-98-16. გადმოცე ასაწომხელ 17/111-77 წ., ხელმოწერილია დასაბეგდა 12/V-77 წ., ქალღლის ზომი 60x90, ფხ. ნახ. ფურც. 25, ტრაჟი 157.000. შტე. № 973. „ღვას“ № 6. ნა გრუნიკომ აჟიკე. ფახე 20 კაბ.

საქ. კვ. ცე-ის
გამომცემლობა
Издательство
ЦК КП Грузии